19.03.2021

იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2021 წლის თებერვალი

იმპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 1.2 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდექსის 19.4 პროცენტიანი ზრდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ფასები 21.5 პროცენტით გაიზარდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე ფასების 1.8 პროცენტიანი ზრდა ფიქსირდება, ხოლო წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე - ფასების 49.0 პროცენტიანი მატება. რაც შეეხება ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფს, სახეზე გვაქვს ფასების 27.0 პროცენტიანი კლება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის თებერვალში იმპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის თებერვალთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**119.4**	**19.42**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**101.8**	**0.16**
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**121.5**	**19.40**
10	კვების პროდუქტები	125.5	2.58
28	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	142.4	3.26
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი**	**73.0**	**-0.23**
E	**წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**149.0**	**0.09**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

იმპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400) ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge